



## სდასუ

# დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



## სამართალმცოდნეობა

მისანიჭებელი  
კვალიფიკაცია

სამართლის ბაკალავრი  
Bachelor of Law

პროგრამის  
მიზნები

”სამართალმცოდნეობის” საბაკალავრო პროგრამის მიზანია, შიდა და საგარეო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება როგორც სამართლის მიმართულების ფართო ცოდნა, ასევე კერძო, საჯარო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა; ექნება გაცნობიერებული სამართლის არსი და დანიშნულება საზოგადოების ცხოვრებაში, სამართლის სოციოლოგიური, ეკონომიკური, ისტორიული, ფილოსოფიური ასპექტები, სამართლის დარგებს შორის არსებული ურთიერთკავშირები, ეროვნული სამართლის სისტემისა და სამართლის სხვა სისტემების მსგავსება-განსხვავებები, სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის, კანონის განმარტების მეთოდების როგორც

მოქმედებას, არსებულ გარემოებებსა და შედეგს შორის სამართლიანი თანაფარდობის უზრუნველყოფის ძირითადი საშუალების მნიშვნელობა, პროფესიული ეთიკის ნორმების დატვირთვა იურიტიის პროფესიულ საქმიანობაში; *ექნება* როგორც პროფესიული განვითარების, ასევე ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათი დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია; სოციალური და მოქალაქეობრივი პოზიცია; პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა; რომელიც *შეძლებს*: კომპლექსური სამართლებრივი საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმას მათი გაანალიზების საფუძველზე; არსებულ სამართლებრივ მასივში ორიენტაციას და შესაბამისი ნორმის მოძიებას, ნორმათა სწორ ინტერპრეტაციას განმარტების სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, არსებული ხარვეზების დაფიქსირებას და, მათი არსებობის პირობებში, საკითხის გადასაწყვეტად ანალოგიის გამოყენებას; პრაქტიკული ხასიათის მქონე პრობლემების იდენტიფიცირებას როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალშეფარდების პროცესში და მათ გადაჭრას შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე, კვლევითი ხასიათის მცირე პროექტების განხორციელებას წინასწარ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით და პრობლემატური საკითხების დაფიქსირებას კვლევითი საქმიანობის პროცესში; სამართლებრივი შინაარსის, მათ შორის პროცესუალური დოკუმენტების შედგენას, კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევას, კლიენტის წარმოდგენას და მისი ინტერესების დაცვას როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; სამართლებრივი წერის კულტურისა და სამართლებრივი ეთიკის ნორმების დაუფლებას; თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და თანმიმდევრული ანალიზის, შესაბამისი მონაცემების შეგროვებისა და ადეკვატური მეთოდების გამოყენებით განმარტების, გარეშე ფაქტორების გათვალისწინების, საქმის სამართლებრივად არსებითი გარემოებების არაარსებითისაგან გამიჯვნის საფუძველზე, პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარებას და შერჩეული მიდგომის დამაჯერებლად დასაბუთებას, ლოგიკური და დასაბუთებული დასკვნების ფორმირებას;

## სწავლის შედეგები

### ცოდნა და გაცნობიერება

*ბაკალავრმა იცის/ბაკალავრი აცნობიერებს:*

- სამართლის არსის შესახებ ძირითადი თეორიების დახასიათება, სამართლის სოციოლოგიური, ეკონომიკური, ისტორიული, ფილოსოფიური ასპექტების შეცნობა და სამართლის არსის განმარტება, სოციალურ ნორმათა სისტემაში სამართლებრივი ნორმების ადგილის განსაზღვრა და თანამედროვე საზოგადოებაში სამართლის დანიშნულების გააზრება;

- სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობის გააზრება;
- ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო ცოდნის დემონსტრირება;
- კერძო, საჯარო, საერთაშორისო ან სისხლის სამართლის სიღრმისეული ცოდნის დემონსტრირება (კერძოდ: სამართლის კონკრეტული დარგის ცნების, არსის, ძირითადი პრინციპების, სისტემის, ინსტიტუტებისა და ნორმების, წყაროების, სამართლებრივი ურთიერთობების, აგრეთვე თავისებურებების);
- ეროვნული სამართლის სისტემის სამართლის სხვა სისტემებთან შედარება და მათ შორის არსებული კავშირების, მსგავსებებისა და განსხვავებების წარმოჩენა;
- საჯარო და კერძო სამართლის სისტემების შედარება და მათი გამიჯვნის თეორიების დახასიათება;
- სამოქალაქო სამართლის უზოგადესი ცნებების, მისი ძირითადი პრინციპებისა და სამოქალაქო კოდექსის ზოგად დებულებებში მოწესრიგებული ინსტიტუტების ცოდნის დემონსტრირება და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირებისა და განსხვავებების წარმოჩენა;
- კერძო სამართლის სტრუქტურის ანალიზი და მისი გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისგან;
- ვალდებულებითი სამართლის ძირითადი პრინციპების გააზრება, ვალდებულების წარმოშობის, შესრულების, დარღვევის, მეორადი მოთხოვნებისა და შეწყვეტის ინსტიტუტების ცოდნის დემონსტრირება და მათი თავისებურებების წარმოჩენა;
- სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების განსხვავება და მათი თავისებურებების წარმოჩენა;
- ხელშეკრულების ტიპებისა და ცალკეული სახეების კლასიფიცირება და განხილვა, ქონების საკუთრებაში გადაცემის, ქონების სარგებლობაში გადაცემის, სამუშაოს შესრულებს, მომსახურების სახის ხელშეკრულების, სახელშეკრულებო სამართლის სხვა მნიშვნელოვანი კონსტრუქციების განსხვავება;
- სანივთო უფლებების შინაარსის განმარტება, მათი წარმოშობისა და შეწყვეტის საფუძვლების დახასიათება;
- დაქორწინების წესისა და პირობების, ქორწინების შეწყვეტისა და ბათილობის, მეუღლეთა უფლებებისა და მოვალეობების (მ.შ. კანონით დადგენილი და სახელშეკრულებო ქონებრივი), მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობების, მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხების ცოდნის დემონსტრირება;
- კანონით მამკვიდრეობისა და ანდერძით მემკვიდრეობის განსხვავება და მათი თავისებურებების წარმოჩენა;
- შრომითი ურთიერთობების სუბიექტების დახასიათება და მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა;
- სამეწარმეო საქმიანობის არსის განმარტება, სუბიექტების დახასიათება, მათი დაფუძნების წესის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცედურის ცოდნის დემონსტრირება და სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა;
- სამოქალაქო სამართალწარმოების ცოდნის დემონსტრირება;

- სახელმწიფო მოწყობის საკითხების ცოდნის დემონსტრირება, სახელმწიფო მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის სხვადასხვა ფორმების ამოცნობა, დახასიათება და ერთმანეთისაგან განსხვავება;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური პრინციპების ცოდნის დემონსტრირება, სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების ურთიერთდამოკიდებულების აღწერა, სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციებისა და კომპეტენციების დახასიათება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის არსის და ძირითადი პრინციპების ცოდნის დემონსტრირება, მისი სისტემის დახასიათება, ორგანიზაციის თავისებურებების წარმოჩენა;
- ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების დახასიათება, მათი კონსტიტუციური გარანტიების, მარეგულირებელი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების განმარტება;
- საკონსტიტუციო სამართალწარმოების ცოდნის დემონსტრირება და მისი ძირითადი თავისებურებების გამოკვეთა და აღწერა;
- ადმინისტრაციული სამართლის არსის და პრინციპების ცოდნის დემონსტრირება, ადმინისტრაციული სამართლის წყაროების დასახელება და აღწერა;
- ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობების აღწერა, მათი სუბიექტების დახასიათება;
- ადმინისტრაციული სამართალწარმოების ცოდნის დემონსტრირება;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპების გაცნობიერება;
- საერთაშორისო სამართლის სუბიექტების ჩამოთვლა და დახასიათება;
- საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების აღწერა და მათი სპეციფიკური თავისებურებების წარმოჩენა;
- სისხლის სამართლის ძირითადი ცნებების განმარტება და ინსტიტუტების ცოდნის დემონსტრირება;
- დანაშაულის არსის გაცნობიერება და სახეების ჩამოთვლა და დახასიათება;
- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებების წარმოჩენა;
- სისხლის სამართალწარმოების ცოდნის დემონსტრირება;
- ქართული სამართლის ისტორიული განვითარების ეტაპების დახასიათება და თავისებურებების წარმოჩენა;
- ქართული სამართლის ისტორიული წყაროების დასახელება და აღწერა;
- განმარტების მეთოდების მნიშვნელობის შეცნობა მოქმედებას, არსებულ გარემოებებსა და შედეგს შორის სამართლიანი თანაფარდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და მათი ცოდნის დემონსტრირება;
- სამართლის ცალკეულ დარგებს, ინსტიტუტებს, ნორმებს შორის არსებულ ურთიერთკავშირების და მათი ურთიერთგანპირობებულობის, სამართლის ნორმათა ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების ცოდნის დემონსტრირება;
- სამართლის ცალკეული ცნებებისა და ინსტიტუტების ურთიერთკავშირის გამოკვეთა, მათი ერთიან სისტემადა აღქმა;

- საქმის სამართლებრივად არსებითი გარემოებების არაარსებითისაგან გამიჯვნა;
- სამართლის კონკრეტული დარგის ნებისმიერი დებულების პრაქტიკული დანიშნულების ამოცნობა;
- იურიდიული ტერმინოლოგიის ცოდნის დემონსტრირება და ტერმინების განმარტება;
- სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის თანამედროვე მიდგომების ცოდნის დემონსტრირება;
- კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოფხვრის ხერხებისა და საშუალებების დახასიათება;
- იურიდიული შინაარსის დოკუმენტების შექმნის მეთოდის ცოდნის დემონსტრირება;
- სამართლის სფეროში პროფესიული საქმიანობის განხორციელებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებების წარმოჩენა;
- პროფესიული ეთიკის ნორმების იურისტის პროფესიულ საქმიანობაში მნიშვნელობის შეცნობა.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

*ბაკალავრს შეუძლია:*

- პრაქტიკული და თეორიული ხასიათის მქონე პრობლემების იდენტიფიცირება სამართალშემოქმედებისა და სამართალშეფარდების პროცესში, კვლევითი ხასიათის მცირე ნაშრომების შესრულების პროცესში;
- სამართლის სფეროსთვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის, მათ შორის სამართლებრივი ტექსტის ინტერპრეტაციის, ნორმის განმარტების მეთოდების გამოყენება კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პრობლემის გადასაჭრელად;
- სასამართლო პრაქტიკის განმარტება, მეცნიერული სიახლეების შეფასება და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების ახსნა კონკრეტული სისხლის, კერძო თუ საჯაროსამართლებრივი პრობლემების დასაბუთებულად გადაწყვეტის მიზნით;
- სამართლის ცალკეულ დარგებს, ინსტიტუტებს, ნორმებს შორის არსებული ურთიერთკავშირებისა და მათი ურთიერთგანპირობებულობის, სამართლის ნორმათა ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინება კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას;
- სამართლებრივი შინაარსის, მათ შორის პროცესუალური დოკუმენტების, ასევე ხელშეკრულებების, საჩივრის, სარჩელის და ა. შ.) შედგენა, იურიდიული ტექსტის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბება;
- ქმედების სწორი კვალიფიკაცია და შესაბამისი სანქციის შეფარდება;
- საკანონმდებლო ხარვეზების დაფიქსირება და მათი აღმოფხვრის ოპტიმალური გზების და მიდგომების ძიება;
- კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა, კლიენტის წარმოდგენა და მისი ინტერესების დაცვა როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- პროფესიულ ჯგუფში მუშაობა და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სამუშაოს შესრულება და კონკრეტული კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება - მიზნების და ამოცანების ფორმულირება, სავარაუდო შედეგების განსაზღვრა და შეფასება, ადეკვატური მეთოდების და ლიტერატურის შერჩევა-

გამოყენება;

- კონკრეტული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, სამოქმედო გეგმის დასახვა და მის განხორციელებაში მონაწილეობა, შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრულ ეტაპებად სტრუქტურირება, დროის რაციონალურ დაგეგმვა, დახარჯული დროის ანალიზი და მონიტორინგი, სამუშაოს შესრულება დაგეგმილ ვადებში, შესრულებულ სამუშაოზე და მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღება.

## დასკვნის უნარი

*ბაკალავრს შეუძლია:*

- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება;
- სამართლებრივი საკითხის აქტუალობის შეფასება და თეზისის ჩამოყალიბება;
- სამართლებრივი შინაარსის პრობლემატური საკითხის სხვადასხვა მხრიდან დანახვა, მისი ცალკეული ასპექტების წარმოჩენა, მათ შორის კავშირების და განპირობებულობების ლოგიკურად გააზრება;
- საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებთან სამართლებრივი საკითხების კავშირ-მიმართების ახსნა;
- ცხოვრებისეული შემთხვევების სწორად გაანალიზება და შეფასება, გადაწყვეტილებების შემუშავება, გადამოწმება და დასაბუთება;
- სამართლებრივი პრობლემის მაპროვოცირებელი და მასტიმულირებელი ფაქტორების დაფიქსირება და გაანალიზება;
- სამართლებრივად არსებითი (მნიშვნელოვანი) გარემოებების უმნიშვნელოსაგან (არაარსებითისაგან) გამიჯვნა;
- სამართლის სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა მონაცემების შეგროვება, ინფორმაციის მოპოვება, მათი სისტემატიზაცია, განმარტება და გაანალიზება;
- სამართლის სფეროში კანონზომიერებების, ტენდენციების ანალიზი, აღნიშნულის საფუძველზე მოვლენების განვითარების პროგნოზირება, შედეგად - ოპტიმალური რეგულირების შემუშავება;
- სამართლებრივი კონცეფციების ქვეყნის კანონმდებლობაზე და სასამართლო პრაქტიკაზე გავლენის შეფასება;
- პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებასთან დაკავშირებული მოსაზრების ფორმულირება, დასაბუთება და დაცვა, შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება და არგუმენტირებული რეკომენდაციების შეთავაზება;
- საკუთარი შესაძლებლობების და შესრულებული სამუშაოს თვითანალიზი და თვითკრიტიკა, მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანობასა და ოპტიმალურობაში დარწმუნება.

## კომუნიკაციის უნარი

*ბაკალავრს შეუძლია:*

- პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის ან კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ინფორმაციის (დოქტრინული წყაროების, ნორმატიული მასალის, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვის და სხვ.) მშობლიურ და უცხოურ (ინგლისურ) ენებზე მოძიება, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით;
- ოფიციალური ინფორმაციის მისაღებად საჯარო და კერძო სტრუქტურებისათვის მიმართვა;
- ინგლისურენოვანი სამართლებრივი ტექსტების გაგება და თარგმნა;
- სამართლებრივი მსჯელობა და წერის კულტურის დაცვა;
- ჯგუფური სამუშაოს შესრულებისას თავისი მოსაზრების არგუმენტირება და პოზიციის დაცვა, მინიმალური შესაძლებლობის ფარგლებში ჯგუფის წევრებთან მოლაპარაკება, ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- შესრულებული პროფესიული სამუშაოს შესახებ იურიდიული ტერმინოლოგიის მართებული გამოყენებით დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია);
- არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ინფორმაციის სპეციალისტებისა/შესაბამისი დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის წერილობით და ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, წინადადებების, იდეების და მოსაზრებების ჩამოყალიბება და მათი შემდგომი განმარტება იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- პროფესიულ დისკუსიაში ჩართვა და სამართლებრივ თემებზე უცხოურ ენაზე განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე საუბარი და დამოკიდებულების გამოხატვა, მოსაზრებების ჩამოყალიბება და პოზიციის დასაბუთება, ოპონენტის დასაბუთებული მოსაზრებების გაზიარება;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება - მონაცემთა ბაზებთან, ელექტრონულ დოკუმენტებთან, პროგრამებთან, ცხრილებთან მუშაობა და ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება, სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტების (ხელშეკრულებების, ნორმატიული აქტების პროექტების, პროცესუალური დოკუმენტების და სხვ.) შედგენა;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის გადაწყვეტის, კონკრეტული ამოცანის გადაჭრის და კომუნიკაციის მიზნით.

## სწავლის უნარი

*ბაკალავრს შეუძლია:*

- ბაკალავრიატში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების ადეკვატური შეფასება და, ცოდნის განახლებისა და უნარების სრულყოფის მიზნით, სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენება, საკანონმდებლო რეგულაციაში მომხდარი ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკაში დანერგილი ნოვაციების, ახალი მეცნიერული

მიღწევების (სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის) თვალის დევნება, ახალი ინფორმაციის ინტერპრეტირება და კონტექსტუალიზაცია, საჯარო, კერძო, სისხლის თუ საერთაშორისო სამართლის სფეროში ახალი იდეების კრიტიკული აღქმა;

- მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების და ინოვაციების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების და პერსპექტივების დადგენა.

## ღირებულებები

*ბაკალავრს აქვს:*

- იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლების ცოდნა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის პასუხისმგებლობა;
- პრობლემატური სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას სამართლიანობის მასშტაბებით ხელმძღვანელობის მოთხოვნა;
- ადამიანის უფლებების განხორციელების ხელშეწყობისა და მათი დაცვის ვალდებულების განცდა;
- პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების მოტივაცია;
- სამართლის სფეროსთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

**კრედიტების  
რაოდენობა**

**240 ECTS**

**შეფასების  
წესები**

	<b>ქულა</b>		<b>შეფასება</b>
	91%-100%	<b>A</b>	ფრიადი
	81%-90%	<b>B</b>	ძალიან კარგი
	71%-80%	<b>C</b>	კარგი
	61%-70%	<b>D</b>	დამაკმაყოფილებელი
	51%-60%	<b>E</b>	საკმარისი
	41-50%	<b>Fx</b>	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით



0-40%

F

დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)  
ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის  
საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი  
განათლების მქონე პირს. მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები (გარდა  
კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

**საკონტაქტო პირი** ასოც. პროფ. ია ხარაზი, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 593 369247,  
ელფოსტა: iakharazi@sdasu.edu.ge, კონსულტაციის გაწევის დრო და ადგილი:  
15:00 საათი, ოთხშაბათი, აუდიტორია N:215.